ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 4 მაისის სხდომის

ოქმი N 7

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 4 მაისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 29.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა კენჭი უყარა წინადადებას, რომ საბჭოს მდივნის თინათინ დავითაშვილის მივლინებაში ყოფნის გამო აირჩეს საბჭოს მიმდინარე სხდომის მდივნად პროფ. ნანა შათაშვილი. საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ამ წინადადებას.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესახებ;
2. აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ რადგანაც პირველი 2 საკითხი ხანგრძლივ განხილვას მოითხოვს, სხდომამ მესამე საკითხი, კერძოდ, მიმდინარე საკითხები განიხილოს დასაწყისში.

საბჭომ მხარი დაუჭირა საკითხების გადანაცვლებას ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხის პირველი ნაწილი შეეხებოდა ფაკულტეტზე გამოცხადებული ესტატე ხმალაძის სტიპენდიაზე კონკურსში გამარჯვებულის დაჯილდოვებასა და მასზე სერთიფიკატის გადაცემას. საბჭოს დამსწრე წევრებს თავმჯდომარემ წარუდგინა გამარჯვებული - „ფუნდამენტური ფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამის პირველ-კურსელი წარჩინებული სტუდენტი ირაკლი ჯოხაძე. მანვე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, გადასცა გამარჯვებულს სერთიფიკატი. გადაღებულ იქნა სურათიც.

მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხის მეორე ნაწილი ეხებოდა საპატიო მისიას, კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ინფორმაცია თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემიის TUBA 2018 შესახებ, რომელზეც წარდგინებისათვის მან დამსწრეთ შესთავაზა პროფესორ, აკადემიკოს ნოდარ ცინცაძის კანდიდატურა. საბჭომ იმსჯელა ნ. ცინცაძის სამეცნიერო მიღწევებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის 2018 წლის პრემიაზე პროფესორ, აკადემიკოს ნოდარ ცინცაძის ნომინაციას.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

დაადგინეს:

პროფესორი, აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე ორიგინალური, დარგისათვის მოწინავე და განმსაზღვრელი სამეცნიერო მიღწევებისათვის ნომინირებულ იქნას თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემიაზე TUBA 2018.

მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხის მესამე ნაწილი - თამარ ჭელიძემ, დეკანის მოადგილემ საბჭოს წარუდგინა აწ უკვე ყოფილი ფიზიკის სადისერტაციო საბჭოს წარდგინება ფიზიკის სადოქტორო პროგრამის პირველკურსელ დოქტორანტთა: თამარ ზაქარეიშვილის, გოგიტა პაპალაშვილის, გრიგოლ ფერაძის, რევაზ კობაიძისა და ლაშა ლალიაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესორები თ. ლეჟავა, ა. გამყრელიძე, ნ. დორეული, ნ. შათაშვილი, გ. ღვედაშვილი, მ. ხაჩიძე, ნ. კოტრიკაძე. დისკუსიის ძირითადი საკითხი ეხებოდა ფაკულტეტზე არსებული დარგობრივი სადისერტაციო საბჭოების უფლებამოსილების შეწყვეტას. საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეთ განუმარტა, რომ შეიცვალა თსუ-ს წესდება, რომელიც გამოქვეყნდა სამშაბათს 1 მაისს და იმ დღიდან საფაკულტეტო სადისერტაციო საბჭოებს უფლებამოსილება შეუწყდათ. აღნიშნული სადისერტაციო საბჭოების ყველა მანამდე მიღებული გადაწყვეტილება კი ძალაშია, შესაბამისად ფიზიკის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებანიც. პრობლემური აღმოჩნდა დაცვის კომისიების უფლებამოსილების საკითხი უკვე დანიშნული დაცვის პროცედურებისათვის, კერძოდ, ფიზიკის დოქტორის ხარისხის მიღებისათვის დანიშნული გახლავთ დაცვა 10 მაისს და კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიღებისათვის კი 15 მაისს. საბოლოოდ საბჭო მივიდა იმ მოსაზრებამდე, რომ ასეთ საკითხებს ნამდვილად მოაგვარებდა ახალი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში გარდამავალი მუხლის არსებობა. საბჭომ იმედი გამოითქვა, რომ ესეთი მუხლი ნამდვილად გაჩნდება ახალ, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. გამოითქვა აზრი, რომ ფაკულტეტის საბჭოს წარედგინა შუამდგომლობა, რათა დროულად შედგეს საუნივერსიტიტო სადისერტაციო საბჭო და ყველა ძველი უფლებამოსილების გადაცემაც შესაბამისად მოხერხდეს. საბჭოს თავჯდომარემ შესთავაზა დამსწრეთ, რომ ფაკულტეტმა რაც შეიძლება დროულად დაიწყოს არსებული დებულებების საუნივერსიტეტოსთან შესაბამისობაში მოყვანა და შემდგომ კი ნამდვილად დაჩქარდებოდა პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფიზიკის სადოქტორო პროგრამის პირველკურსელთა სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების საკითხს.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

დაადგინეს:

1. დოქტორანტ თამარ ზაქარეიშვილის სამეცნიერო ხლემძღვანელად დამტკიცდეს თსუ მეფი-ს მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი თამარ ჯობავა, თამარ ზაქარეიშვილის სადოქტორო დისერტაციის თემად დამტკიცდეს „ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის დემონსტრატორის მახასიათებლების შესწავლა სატესტო დასხივებების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საშუალებით და ტოპ-ანტიტოპ კვარკულ წყვილებთან ასოციატიურად დაბადებული J/Psi ნაწილაკების (ჩარმონიუმის) დამზერა და თვისებების შესწავალა“.

2. დოქტორანტ გოგიტა პაპალაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ასოც. პროფესორი, თსუ მეფი-ს მთავარი მეცნიერ თანამშრომელი რევაზ შანიძე. გოგიტა პაპალაშვილის სადოქტორო დისერტაციის თემად დამტკიცდეს „ნეიტრინული ოსცილაციების შესწავლა და ნეიტრინული მასური იერარქიის დადგენა KM3NeT/ORCA ექსპერიმენტში.

3. დოქტორანტ გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ პროფესორი, აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე, თსუ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, პლაზმის ფიზიკის განყოფილების გამგე. გრიგოლ ფერაძის სადოქტორო დისერტაციის თემად დამტკიცდეს „კოლექტიური პროცესების შესწავლა კვანტურ პლაზმასა და ფერმის ნეიტრალურ სითხეებში“.

4. დოქტორანტ რევაზ კობაიძის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ასოცირებული პროფესორი ამირან ბიბილაშვილი. რევაზ კობაიძის სადოქტორო დისერტაციის თემად დამტკიცდეს „ინტეგრალური მიკროსქემის ახალი ელემენტის - მემრისტორის მიღება და კვლევა“.

5. დოქტორანტ ლაშა ლალიაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს ფიზ. ქიმიის მეცნ. დოქტორი, თსუ ბიოფიზიკის ლაბორატორიის გამგე დიმიტრი ხოშტარია. ლაშა ლალიაშვილის სადოქტორო დისერტაციის თემად დამტკიცდეს „ატომარულ დონეზე თვითაწყობილი ბიო-ჰიბრიდული 2D ნანოფირების მონაწილეობით მიმდინარე კოჰერენტული მრავალელექტრონული გადასვლების შესწავლა“.

მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხის მეოთხე ნაწილი - თამარ ჭელიძემ, დეკანის მოადგილემ გამოიტანა აწ უკვე ყოფილი ფიზიკის სადისერტაციო საბჭოს შუამდგომლობა ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის გ. ხაზარაძის განცხადება სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ა. გამყრელიძემ, მ. ხაჩიძემ, გ. სირბილაძემ, ნ. შათაშვილმა. ამ უკანასკნელმა საბჭოს განუმარტა, რომ გ. ხაზარაძემ 2013 წელს გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ქალაქ იულიხის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ერთობლივ კონკურსში, რის საფუძველზეც მისი სადისერტაციო თემის მნიშვნელოვანი ექპსერიმენტული ნაწილი შესრულდა იულიხის კვლევით ცენტრში. დოქტორანტურის დებულებით ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შერულება, ძირითადი შედეგები კი აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი ქართულ ენაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორან გიორგი ხაზარაძის თხოვნას სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენასთან დაკავშრებით.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

დაადგინეს: მიეცეს უფლება ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი ხაზარაძეს წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომი ინგლისურ ენაზე, ხოლო სადისერტაციო კვლევის შედეგები წარმოადგინოს ქართულ ენაზე.

მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი, კერძოდ კი ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის მიღების საკონკურსო კრიტერიუმები წინასწარ განხილული და დაგზავნილი დოკუმენტის მიხედვით. საბჭოს თავჯდომარემ დამსწრეთ წარუდგინა ბოლო განხილვის შემდგომ მიღებული წინადადებები სხვადასხვა დეპარტამენტებიდან (დ. ძიძიგური, ნ. ელიზბარაშვილი), რომლებიც ასახულ იქნა წარმოდგენილ სარეკომენდაციო დოკუმენტში კრიტერიუმებისათვის, რომლებიც საბჭომ უნდა განიხილოს და შემდგომ მიიღოს აკადემიური საბჭოსათვის რეკომენდაციის სახით წარსადგენად იმ შემთხვისათვის, თუ თსუ გადაწყვეტს შეიცვალოს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების არსებული საკონკურსო კრიტერიუმები - უფრო კონკრეტულად: თსუ-ში ახალი კრიტერიუმების შემოღების შემთხვევაში ჩვენი ფაკულტეტის პოზიცია/აზრი/რეკომენდაცია არის ასეთი დაკავშირებული იმ სინამდვილესთან, რომ ფაკულტეტს მიაჩნია, რომ ფაკულტეტის დარგებისათვის მართებულია წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული ზოგადი კრიტერიუმები, დეპარტამენტებს კი ეძლევათ შესაძლებლობა გაწერონ ქულობრივად თითოეული კრიტერიუმი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. გაიმართა კამათი იმის თაობაზე, რომ განხორციელდეს თუ არა ძველი კრიტერიუმების მხარდაჭერა, თუ რა აუცილებლობაა ახალი კრიტერიუმების შემოღებისა და ა.შ.

გაიმართა დისკუსია: პირველ რიგში დაისვა კითხვა, თუ როდიდან შემოვა ასეთი კრიტერიუმები, რადგანაც ფაკულტეტზე გამოცხადებულია კონკურსი პროფესორთა/ასოცირებულ პროფესორთა პოზიციებზე. დეკანის განმარტებით გაურკვეველია თუ როდიდანაა შესაძლებელი ასეთი კრიტერიუმების ამოქმედება, რაც შეეხება გამოცხადებულ კონკურსებს - ისინი ნამდვილად გამოცხადებულია აკადემიური საბჭოს 118-ე დადგენილების მიხედვით აკადემიურ თანამდებობებზე მიღების საერთო წესის შესაბამისად. დისკუსია ასევე ეხებოდა აღნიშნული 118-ე დადგენილების შეცვლის შესაძლებლობას და ამ შეცვლის ასახვის შესაძლებლობას გამოცხადებულ კონკურსებთან მიმართებაში. საბჭოს თავჯდომარემ განუმარტა დამსწრეთ რომ ამ მომენტისათვის არაფერია ცნობილი ამ მიმართულებით, მაგრამ როდესაც არ უნდა შემოვიდეს ასეთი ცვლილება, სჯობს ფაკულტეტმა გამოხატოს თავისი პოზიცია ჩვენი დარგებისათვის შესატყვისი კრიტერიუმების მიწოდებით. ამის შემდგომ დაისვა არაერთი შეკითხვა მოწოდებული დოკუმენტის პუნქტების გარშემო. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ნ. შათაშვილმა, ა. გამყრელიძემ, ბ. თუთბერიძემ, ნ. დორეულმა.

აზრი გამოთქვეს:

ე. ნადარაია - საბოლოო ქულების ჯამების ქვედა ზღვრები უნდა მოიხსნას, მეტს ვინც დააგროვებს კონკურსანტებიდან ის გამოცხადდეს არჩეულად.

ნ. კოტრიკაძე - კონკურსანტი თვითონ ირჩევს ლექცია წაიკითხოს თუ სამეცნიერო პრეზენტაცია ჩაატაროს?

თ. ლეჟავა - ლექციის ჩატარება და მისი შეფასება პრობლემურია, ძალიან სუბიექტურია.

ა. გამყრელიძე - რატომაა ლექციის ჩატარება საჭირო, ღია იქნება? სტუდენტებს ექნებათ თუ არა დასწრების და კითხვების დასმის საშუალება?

ნ. შათაშვილი - სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების შეფასების 50-50 წილები გაწითლებულადაა დოკუმენტში და დეპარტამენტებს შეუძლიათ თუ არა შეცვლა თუ ფიქსირებულია ყველა დეპარტამენტისათვის ერთნაირად?

რ. ხომერიკი - ქვედა ზღვრები უკვე მოხსნილია განახლებულ დოკუმენტში; კონკურსანტი თვითონ ირჩევს ლექციას ჩაატარებს თუ სამეცნიერო პრეზენტაციას; იყო გასაუბრება ეხლა არის ლექცია/პრეზენტაცია; საკონკურსო კომისია ნამდვილად სუბიექტურია, ამავე დროს ლექცია იქნება საჯარო და ღია, ყველას აქვს კითხვის დასმის უფლება, კომისია კი აფასებს;

50-50 წილები სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების შეფასების მაქსიმუმისათვის ფიქსირებულია და ყველა დეპარტამენტისათვის ერთნაირია - არის საერთო საფაკულტეტო.

ა. უგულავა - შრომების წარმოდგენა როგორ უნდა მოხდეს? რომელი წლების შრომები შეფასდება? ბოლო 10 წლის თუ როგორ?

ე. ნადარაია - ალბათ სჯობს შეფასდეს ბოლო 10 წლის შრომები, წარმოდგენილი კი უნდა იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე შექმნილი შრომები.

მ. ხაჩიძე - უნდა აუცილებლად ჩაიწეროს დამატებითი პირობები / დარგობრივი მოთხოვნები.

ა. გამყრელიძე - მოხსენება რეგლამენტირებული იქნება? რამდენწუთიანი?

რ. ხომერიკი - დეპარტამენტები წარმოადგენენ ამ დეტალებს ამ ზოგადი დოკუმენტის პუნქტების ჩაშლისას, თუ არადა კომისია განახორციელებს გაწერას კრიტერიუმების დეტალებისა და ფაკულტეტის საბჭო დაამტკიცებს; მოხსენების რეგლამენტზეც იგივე პასუხია. 2.6 მუხლი არის დამატებითი დარგობრივი მოთხოვნები.

მ. ხაჩიძე - გასაუბრება აღარაა? დაზეპირებული ლექციის წაკითხვა რამდენად იქნება ინფორმაციის მომცემი?

ა. უგულავა - კომისია ხომ არ უნდა აღიჭურვოს გარკვეული უფლებებით, გამომდინარე იქედან, რომ ის ცოცხალი ორგანიზმია და მოაზროვნე. მაგალითად მხცოვანი გამოცდილი ლექტორი თუა კონკურსანტი მას ეს გამოცდილება პირდაპირ ჩაეთვალოს? ასევე ლექცია როგორი უნდა ჩატარდეს? საინტერესო სამეცნიერო მოხსენება, რომელიც კომისიისათვის გასაგებად მიღწევადია, წმინდა დარგობრივი თუ საუნივერსიტეტო დონის ანუ ყველასთვის? სამი სხვადასხვა ვარიანტია.

რ. ხომერიკი - კომისია კითხვა-პასუხით იმსჯელებს კონკურსანტის შესაძლებლობებზე, მხოლოდ წაკითხვით / პრეზენტაციით არ მთავრდება ეს ლექცია. გამონაკლისი ვერ იქნება - ლექცია / პრეზენტაცია ყველამ უნდა ჩაატაროს - გამონაკლისის დაშვება არ შეიძლება, რადგანაც მაშინ არავინ არაფერს არ წაიკითხავს და ამ დოკუმენტს აზრი ეკარგება; კომისიამ შეიძლება დამატებითი კრიტერიუმებიც შემოიტანოს; პირველი ეტაპია სწორედ საბუთების შეფასება და შესაბამისად საბუთების შემოტანა მნიშვნელოვანი საკითხია.

მ. ხაჩიძე - სასწავლო / სამეცნიერო / სერვისი - ასეთი განაწილებითაა პროფესორებისადმი წაყენებული მოთხოვნები, შესაბამისად თავიდანვე ხომ არ მივუთითოთ საკონკურსო მოთხოვნებში გარკვეული სერვისის ცოდნა? მაგალითად აკრედიტაციის მოთხოვნების, გარკვეული პროგრამული პაკეტების და ა.შ.? ჩვენი დარგისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ზოგადად ალბათ ყველასთვის. მაგალითად მოვიდეს ასოცირებული პროფესორი და ის ამ საკითხებში ვერ ერკვევა, მაშინ ვინ უნდა გააკეთოს მის მაგივრად მსგავსი საქმეები?

ნ. დორეული - როგორც ჩანს კიდევ ბევრი კითხვები გაჩნდება და ხომ არ სჯობს რომ არ ვიჩქაროთ?

ნ. შათაშვილი - როგორც გამოცხადებული კონკურსით ჩანს კონკურსანტის ანკეტები ძველი, 118-დადგენილების მიხედვითაა შესავსები და შესაბამისად დოკუმენტებიც ამის მიხედვითაა წარმოსადგენი; თუ დამტკიცდება კრიტერიუმების ახალი კრიტერიუმები მიმდინარე კონკურსებისთვისაც, მაშინ ცხადია ახალი გაწერილი კრიტერიუმებით მოგვიწევს საბუთების შემოტანა.

ბ. თუთბერიძე - შესაბამისად ყველა წესებით აღარ უნდა დადგეს საკითხი გამოცხადებული კონკურსებისათვის ახალი კრიტერიუმების მოთხოვნისა.

ნ. შათაშვილი - ამ ყველა კომენტარითა და შესწორებით ხომ არ დავაყენოთ მაშინ წარმოდგენილი კრიტერიუმების დოკუმენტი კენჭისყრაზე.

მსჯელობა კიდევ გაგრძელდა დოკუმენტის პუნქტების გარშემო (გ. ღვედაშვილი, მ. ხაჩიძე, ნ. დორეული; ასევე მოხდა შეთანხმება კონკრეტული კრიტერიუმის დამატებისა სასწავლო ნაწილში საერთაშორისო გამოცდილებასთან დაკავშირებით).

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკონკურსო კრიტერიუმების წარმოდგენილი დოკუმენტი ყველა მიღებული შესწორებით კენჭისყრაზე შემდეგი ფორმულირებით: ეს დოკუმენტი გამოყენებულ იქნას სარეკომენდაციოდ ზსმფ-ის მხრიდან ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღები საკონკურსო კრიტერიუმებისათვის იმ შემთხვევაში, თუ თსუ შეიტანს ცვლილებებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის აკადემიური საბჭოს 118-ე დადგენილებაში როგორც ჩვენი ფაკულტეტის პოზიცია.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 6.

დაადგინეს: წარედგინოს თსუ-ს აკადემიურ საბჭოს ზსმფ-ის საბჭოს რეკომენდაცია განსახილველად, როგორც ფაკულტეტის პოზიცია ამ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით (იხ. დანართი 1) იმ შემთხვევისათვის, თუ თსუ შეიტანს ცვლილებებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის აკადემიური საბჭოს 118-ე დადგენილებაში ან მიიღებს ახალ დადგენილებას.

გარკვეული პერიოდით ისევ გაგრძელდა დისკუსია იმის თაობაზე, რომ ისე არ მოხდეს რომ უკვე საბოლოო გახდეს ეს კრიტერიუმები და ავტომატურად მიღებულ იქნას მიმდინარე კონკურსებისათვისაც.

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველად გამოიტანა დღის წესრიგის პირველი საკითხი - ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიის გეგმის დაგზავნილი შესწორებული საბოლოო დოკუმენტი. მან ისაუბრა ბოლო დღეებში გამოგზავნილ შესწორებებზე, რომლებიც უკვე გათვალსწინებულია დაგზავნილ დოკუმენტში, დარჩა რამდენიმე საკითხი დასაზუსტებელი. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ნ. ელიზბარაშვილმა, ლ. მაჭავარიანმა. დაისვა საკითხი ასისტენტის მიღებაზე კათედრებზე ნაცვლად ლაბორანტებისა ლაბორატორიებში. დეკანის მოზიციით უპირატესობის მინიჭება ლაბორანტებზე სჯობდა, რადგანაც სხვა შემთხვევაში ლაბორატორიები უპერსონალოდ ჰაერში რჩებიან.

აზრი გამოთქვეს:

ნ. ელიზბარაშვილი - სჯობს ეს ასისტენტის საკითხი ჩაიწეროს სტრატეგიაში; ასევე აუცილებლად ჩასაწერია, რომ ჩვენი ყოფილი განადგურებული ლაბორატორიის ნაცვლად გამოყოფილ იქნას 3 ოთახი ლისის ტბის საერთო საცხოვრებელში ამ ლაბორატორიის მოსაწყობად, მითუმეტეს, რომ იქვეა სოფელი ბევრეთი, სადაც პრაქტიკებს ჩაატარებდა. მან მოითხოვა ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობა ამ საკითხის მოსაგვარებლად, რადგანაც რამდენიმე წელია ეს საკითხი გადაუწყვეტელია.

რ. ხომერიკი - თსუ-ს ადმინისტრაციის პოზიცაა და მეც ვეთანხმები, რომ ასეთი მწირი დაფინანსების პირობებში ლისის ტბის საერთო საცხოვრებელი არ იყოს რაიმეს ბაზა და იყოს სტუდენტებისათვის საცხოვრებელი ადგილი. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხს - აქ ნამდვილად ჩასაწერია ამ ლაბორატორიული ბაზის აღდგენის საკითხი. საბჭოს გადასაწყვეტია ეს საკითხი.

ნ. დორეული - მანამ განხორციელდება ინფრასტრუქტურული ცვლილება / მოწესრიგება და ბაზის დაკმაყოფილება მანამდე ეგებ დროებით მიეცეთ შაუამდგომლობა გადაეცეთ 3 ოთახი ლისის ტბის საერთო საცხოვრებელში.

ნ. კოტრიკაძე - როდესაც კათედრები არაა სრულყოფილი და ზოგგან მხოლოდ პროფესორი და ასოცირებული პროფესორია, მაშინ ასისტენტის მოთხოვნის საკითხს სჯობდა მოგვეთხოვა კათედრების სრულყოფა.

ა. გამყრელიძე - იქნებ ინფრასტრუქტურის პუნქტში ჩაიწეროს სამეცნიერო პერიოდიკის შეძენის წვდომის საკითხიც. ასევე მნიშნელოვანია სემინარული მუშაობები და ესეც უნდა სტრატეგიაში ჩაიწეროს.

ნ. შათაშვილი - ჩემს ბოლო კომენტარს მიესადაგება ეს საკითხი, რადგანაც იქ სწორედ ხაზგასმულია, რომ ხელის შეწყობა მოხდეს სამეცნიერო მუშაობისა ჩვენი ფაკულტეტის პერსონალისათვის. იქნებ სადმე იქვე ჩავწეროთ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა. ცალ-ცალკე ეყარა კენჭი 2 წინადადებას:

1. სივრცის გამოყოფა პრაქტიკებისათვის ლისის ტბის საერთო საცხოვრებელში დროებით, მანამ სანამ არ მოხერხდება ინფრასტრუქტურული მოწესრიგება / გაუმჯობესება.

   მომხრე - 28, წინააღმდეგი - 1 თავი შეიკავა - 0

2. სტრატეგიაში ჩაიწეროს რომ ყოველ პროფესორს კათედრაზე ყავდეს ასისტენტი? საბოლოოდ შეიცვალა ფორმულირება და კენჭი ეყარა **შემდეგ ფორმულირებას:**

   კათედრები დაკომპლექტდეს სრულყოფილად.

   მომხრე - 26, წინააღმდეგი - 1, თავი შეიკავა - 2

დისკუსია გაგრძელდა ვაკანსიების თაობაზე და გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს ვაკანსიები ჩაიწეროს სტრატეგიაში. ნ. დორეულმა დასვა კითხვა თუ რატომ არ გამოცხადდა კონკურსი მისი კათედრის ვაკანსიაზე. დეკანმა ახსნა სიტუაცია ვაკანსიებზე და განუცხადა საბჭოს, რომ ამ ვაკანსიაზე კონკურსი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

თ. ლეჟავა - შემოღებულ იქნას სამეცნიერო შტატები დეპარტამენტებში. ლაბორანტები არსებობენ დიდი გამოცდილების მქონე და დღე და ღამე სამეცნიერო მოღვაწეობას აწარმოებენ და იქნებ მხოლოდ სტატუსი შეეცვალოთ ხელფასის შეცვლის გარეშე - თუ ეს შესაძლებელია, ასეთი მონაცემების დამხმარე პერსონალი ხელფასის შენარჩუნებით გადავიყვანოთ სამეცნიერო შტატში.

რ. ხომერიკი - მაშინ ლაბორატორიები დაიხურება - 1 ლაბორანტი დარჩეს და ერთი გადავიყვანოთ, ესეც არ გამოვა.

ნ. დორეული - ლაბორანტები გვჭირდება, უბრალოდ სტრატეგიაში ჩაიწეროს, რომ საჭიროა სამეცნიერო შტატიც.

ა. უგულავა - უფლება-მოვალეობები უნდა გაიმიჯნოს ლაბორანტებისა და მეცნიერ-თანამშრომლისათვის.

ნ. შათაშვილი - ინსტიტუტები რომ გვაქვს, ხომ არის იქ ასეთი შტატები, მართალია უხელფასოდ მუშაობენ. რ. ხომერიკმა და ა. გამყრელიძემ მხარი დაუჭირეს ასე ამ საკითხის დაყენებას. ლაბორანტი არის დამხმარე პერსონალი და ინსტიტუტები კი სამეცნიეროები და ისედაც გამიჯნულია.

რ. ხომერიკი - დააყენა საკითხი კენჭისყრაზე იმ ფორმულირებით, რომ ლაბორანტების შტატების ტრანსფორმირება მოხდეს სამეცნიერო შტატებად.

საბჭომ, გარკვეული მჯელობის შემდგომ, ასეთ ფორმულირებას მხარი არ დაუჭირა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის დაგზავნილი მთლიანი დოკუმენტი დაზუსტებული პუნქტებით და სხდომაზე მიღებული დამატებითი საკითხებით.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

მიღებულ იქნას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტატეგიის წარმოდგენილი დოკუმენტი ყველა მიღებული დაზუსტებებითა და დამატებებით (იხ. დანართი 2).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 4 მაისის სხდომის მდივანი,
პროფესორი ნანა შათაშვილი